

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ელექტროამძრავი და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეხუთე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ელექტროამძრავი და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25 სთ.) სულ 1500 სთ.

აქედან: სასწავლო კომპონენტისთვის საკონტაქტო საათი-562სთ; პრაქტიკის კომპონენტისთვის -758 სთ; დამოუკიდებელი - 180სთ.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: პროგრამაზე სასწავლებლად დაშვების მინიმალური პირობაა ზოგადი სრული განათლება ან/და ელექტროამძრავი და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს მეხუთე საფეხურის ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი, რომელსაც შეუძლია ელექტროამძრავის ქსელზე მიერთების სამუშაოების წარმატება, ქვესადგურების მეორეული საკომუტაციო აპარატურის მონტაჟი და ექსპლუატაცია, ქსელების პარამეტრების გაზომვა და ანალიზი; ქვესადგურის დაზიანებული აპარატურის შეკეთება, ელექტროენერგიის აღმრიცხველი ხელსაწყოების მონტაჟი და ექსპლუატაცია.

VII. სწავლის შედეგი:

<p>1.ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული და /ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.</p>	<p>კარგად ერკვევა ელექტროამძრავის მუშაობის პრინციპების თეორიულ საკითხებში, ელექტრომომმარაგების სქემებში; იცნობს ქვესადგურის მაღალი ძაბვის აპარატურის მუშაობის პრინციპებს. აქვს ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელ დანადგარებთან, მათ ფუნქციურ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული ცოდნა.</p>
<p>2.ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება პრობლემების გადაწყვეტის დროს.</p>	<p>შეუძლია ელექტროამძრავის ქსელზე მიერთების სამუშაოების წარმატება, ქვესადგურების მეორეული საკომუტაციო აპარატურის მონტაჟი და ექსპლუატაცია, ქსელების პარამეტრების გაზომვა და ანალიზი; ქვესადგურის დაზიანებული აპარატურის შეკეთება, ელექტროენერგიის აღმრიცხველი ხელსაწყოების მონტაჟი და ექსპლუატაცია.</p>
<p>3.დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია პრობლემების გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>	<p>შეუძლია ელექტრომომმარაგების ქსელში არსებული უზუსტობების ან ავარიის საშიშროების აღმოჩენა, რისკის განსაზღვრა და საჭირო მეთოდებით პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელი ღონისძიების დაგეგმვა.</p>
<p>4.კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისათვის. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და</p>	<p>შეუძლია ქსელის, ასევე ელექტროამძრავი და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების მონტაჟისა და ექსპლუატაციის პროცესში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტა დამოუკიდებლად, ტექნიკური საკითხების ირგვლივ ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის მოძიება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების</p>

	ანგარიშის წარდგენა.	გამოყენებით. წინასწარ მიწოდებული ინსტრუქციისა და ექსპლუატაციის წესების გამოყენებით.
5.სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა.	შეუძლია ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის სფეროში არსებული სიახლეებისთვის თვალყურის დევნება და ცოდნის სისტემატიური გაღრმავება.
6.ღირებულებები	აფასებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.	ელექტროტექნიკური დანადგარების, ამმრავების და ქვესადგურების ექსპლუატაცია მოითხოვს ელექტროდანადგარების მოწყობის და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების ზედმიწევნით ცოდნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგები. ამიტომ ამ წესებისა და ელექტროტექნოლოგიური პროცესების სხვა ღირებულებების ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარი აუცილებელია ამ სპეციალობის პიროვნებისათვის. სრულყოფილად უნდა ფლობდეს უსაფრთხოების წესებს.

VIII. სწავლების შედეგების რუკა:

№	მოდულის/საგნის დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის ბაკეთების უნარი	კომუნის იკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულება
1	საინჟინრო მათემატიკა	X	X	X		X	X
2	საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკა, კომპიუტერულ ტექნოლოგიები საინჟინრო საქმეში	X	X	X		X	X
3	ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები II დონე	X	X	X		X	
4	ინგლისური ენა	X	X	X	X	X	
5	ავტომატიკის ელემენტები და ფუნქციური სისტემები	X	X	X		X	
6	ელექტრული მანქანები II დონე	X	X	X		X	
7	ავტომატიზებული ელექტროამრავის თეორია II დონე	X	X	X		X	
8	ელექტრომომარაგება II დონე		X	X			X
9	ელექტრული ქსელები	X	X	X		X	

IX. სასწავლო გეგმა:

	მოდულის დასახელება	კრედიტი რაოდენ ECTS	საათების რაოდენობა					სულ საათები რაოდენ.	
			საკონტაქტო საათები				დამოუკ საათები		
			ლექც/ პრაქტ.	ლაბორ	სასწა ვ. პრაქ ტ.	საწარმ. პრაქტ.			შუალე დური/ დასკვ. შეფასებ
1.	ელექტროტექნიკის თეორიული საფ-ები II დონე	5	40	20	10	27	8	20	125
2.	ელ. მანქანები II დონე	10	70		50	102	8	20	250
3.	ავტომატიკის ელემენტები და ფუნქციური სისტემები	5	40		15	42	8	20	125
4.	ელექტრომომარაგება II დონე	5	40		15	42	8	20	125
5.	ავტ.ელექტროამბთეორია II დონე	10	70		50	102	8	20	250
6.	ინგლისური ენა	5	40		57		8	20	125
7.	საინჟინრო მათემატიკა,	5	40		57		8	20	125
8.	საინჟინრო გრაფიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები საინჟინრო საქმეში	5	60		37		8	20	125
9.	ელექტრული ქსელები	10	70		50	102	8	20	250
სულ		60	470	20	341	417	72	180	1500

X. პროფესიული სტუდენტების სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

1. ლექციებზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას;
2. ლაბორატორიულ სამუშაოებს;
3. პრაქტიკულ მეცადინეობებს;
4. დამოუკიდებელ მეცადინეობას;
5. სასწავლო, საწარმოო პრაქტიკას;
6. გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A)- ფრიადი-მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B)-მაღიან კარგი- მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C)-კარგი- მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D)-დამაკმაყოფილებელი- მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E)-საკმარისი-მაქსიმალური შეფასების 51-60%.

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(Fx)-ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F)-ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, გავიდეს დამატებით გამოცდაზე (დასკვნით გამოცდაზე) არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება (კოლოქვიუმი, მიმდინარე შეფასება)
- დასკვნითი შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტი;
- ზეპირი გამოკითხვა;
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;
- დაკვირვება და დემონსტრირება.

XII. სწავლების მეთოდები:

- თეორიული სწავლება;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- ლაბორატორიული სამუშაო
- საწარმოო პრაქტიკა.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

1. სასწავლო თეორიული კომპონენტის პედაგოგი შეიძლება იყოს აკადემიური ხარისხის მქონე პირი, უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

2. პროფესიული განათლების პრაქტიკის კომპონენტის მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

3. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
1. ელექტრული მანქანები II დონე	მადონა ლორია	დოქტორი
2. ელექტ. თეორიული საფ. II დონე	მაია ტულუში	დოქტორი
3. ელექტრომომარაგება II დონე	მერაბ სადრაძე	ინჟინერი
4. ელექტრული ქსელები	მერაბ სადრაძე	ინჟინერი
5. ავტომატიკის ელემენტები და ფუნქციური სისტემები	ლუიზა სიხარულიძე	დოქტორი
6. ავტომატიზებული ელექტროამმრავის თეორია	მაია ტულუში	დოქტორი
7. საინჟინრო მათემატიკა	ეკა ჩხარტიშვილი	ტექ. მეც. კანდიდატი
8. ინგლისური ენა	დიმიტრი ბაბაიანი	პედაგოგი
9. საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები საინჟინრო საქმეში	ლალი გერსამია	ინჟინერი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი

მატერიალური რესურსი:

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღი, თვალსაჩინოებანი და სადემონსტრაციო მასალა (პრეზენტაციები და ვიდეოფილმები). (საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის შენობა; მისამართი: ბათუმი, ფიროსმანის ქ. № 12)

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა განხორციელდება სწავლების პროცესში შემდეგ ორგანიზაციებში:

1. ქ.ბათუმი. შპს "გუმბათი-1", მემორანდუმი სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
2. შპს "აჭარგანათება", მემორანდუმი სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
3. ქ. ბათუმი. შპს "მონოლითი-2005", მემორანდუმი სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;